**გაზეთი ღირს**

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893



**გიორგი დიმიტრის ძე კვალიაშვილი, ქეთევან ოტიას ასული შაბუროვისა და გრიგოლ ოტიას ძე ზანდუკელი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და დანარჩენნი—ბიძაშვილის **ელისაბედ ივანეს ასულის კვალიაშვილისას.** მიცვალებულს გაასვენებენ კუკიაში, წმინდა ნიკოლოზის ეკკლესიაში 20 თებერვალს, დილის 9 საათზედ. პანაშვიდი ყოველ დღე დილის 10-სა და საღამოს 6 საათზედ.



## „ივერია"

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 თებერვლიდამ წლის დამლევამდე, ფასი 9 მან. 50 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ტფილისი, 18 თებერვალი

დღეს, 19 თებერვალს, შესრულდა სწორედ ოც-და-ხუთი წელიწადი, რაც ჩვენს სამშობლოში შემოღებულ იქმნა სასამართლოს ახალი დებულება, ეგრედ წოდებული „Судебные Уставы" იმპერატორ ალექსანდრე მეორისა, დამტკიცებული მის მიერ 20 ნოემბერს 1864 წელსა. ცხრამეტ თებერვალს, როგორც გაზეთებმა გვაუწყეს, აქაურ სასამართლოს წარმომადგენელნი შესაფერად იდღესასწაულებენ და დღესასწაულზედ აღნიშნამენ, სხვათა შორის, ახალ სასამართლოს მნიშვნელობას. ამ შემთხვევის გამო, ჩვენც, შეძლებისამებრ, ვეცდებით აღვნიშნოთ მისი სიკეთე, მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია, ორიოდე სიტყვითაც არის, მოვიგონოთ მეორე უფრო დიდი და სახელოვანი რეფორმა—გლეხების განთავისუფლება 19 თებერვალს 1861 წელსა, რომელიც საფუძვლად გაუხდა როგორც სასამართლოს ცვლილებას, აგრეთვე მრავალ სხვა რეფორმასაც, შემოღებულს განსვენებულ ალექსანდრე II-ს მეფობაში.

როგორც მაცხოვარის მოძღვრება სიყვარულისა და სათნოებისა გულს ნათლად ჩაეშუქა მრავალს მაშვრალს, სულითა და ხორცით ტანჯულს, სწორედ ისეთივე ზედ-მოქმედება იქონია 19 თებერვლის მანიფესტმა რუსეთის ერზე. მთელი რუსეთი გულის ცემით ელოდდა ამ დიდებულ დღეს. ოც-და-ხუთი მილიონი ყმა, მონობაში ჩავარდნილი, მოკლებული ყოველსავე მოქალაქობრივ უფლებას, მოუთმენლობისა გამო, ხან რომელ დღეს ასახელებდა, ხან რომელსა, აი ეხლა მოგვესმის ციური სიტყვა: თავისუფალნი ხართ, სამუდამოდ დაიმსხვრა მონობის ბორკილი და თქვენც, როგორც უფლებითა და უპირატესობით აღჭურვილ კაცს, შეგიძლიანთ თავისუფლად ამოისუნთქოთო. ცხრამეტ თებერვლიდგან დაწყებული ხუთს მარტამდე სახელმწიფო და ორიც კერძო ტიპოგრაფია გაჩქარებული ამზადებდნენ განთავისუფლების მანიფესტს. სასტიკად იყო ნაბრძანები, რომ ვიდრე ოფიციალურად არ გამოცხადდება, მანიფესტის შინაარსი ხალხმა არ გაიგოსო. მაგრამ როგორ დაჰმალავდნენ ასეთ სასიხარულო ამბავს, როდესაც, ერთის თანამედროვეს სიტყვით, თვით ჰაერიც გაჟღენთილი იყო ამ სასურველის ხმებითა და მითქმა-მოთქმით. ტიპოგრაფიის ერთმა მუშამ, არყის ბლომად გადაკვრის შემდეგ, წამოროშა, რომ მანიფესტი უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოცხადდებაო. შეზარხოშებულმა მუშებმა ქივილ-ხივილით შესძახეს „ურა" და უმალ, როგორც ელექტრონის ნაკადული, მოედო მთელის პეტერბურგის არე-მარეს. ადმინისტრაცია შიშობდა, ვაი თუ მანიფესტმა მღელვარება გამოიწვიოს, და გაბრაზებულმა ხალხმა უწინდელი ბატონები დაჰხოცოსო, ამისათვის სატახტო ქალაქში სიფთხილისთვის დიდი ღონისძიებანი იყო მიღებული.

ბოლოს დადგა ხუთი მარტიც. მანიფესტი საჯაროდ გამოცხადდა. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გიჟებივით დარბოდნენ ქუჩებში, ქუდებს მაღლა ისროდნენ და ერთი-ერთმანეთს ცრემლ-მორეულნი ეამბორებოდნენ. როდესაც ხალხმა დაინახა კარეტით მომავალი ხელმწიფე, ისეთის სიხარულის ,,ურამ'' დაიგრიალაო, მოგვითხრობს დამსწრე ამ ამბებისა ბ-ნი შჩერბაჩევი, რომ გვეგონა დედამიწა შეინძრაო. მეორე თანამედროვე, აკადემიკოსი ნიკიტენკო გვიამბობს, რომ სიხარულით სახლში ველარ დავდექი, ცოლ-შვილი გადავკოცნე ცრემლ-მორეულმა, ვილოცეთ ყველამ მხურვალედ მუხლ-მოდრეკილებმა, მეფე-განმათავისუფლებელის სურათის წინაშე და გამოვარდი გარედ. ქუჩაში შემხვდა გალახოვი, ცნობილი მსწავლული, და აღტაცებით შევსძახე: ,,ქრისტე აღსდგა''! „ჭეშმარიტად აღსდგაო". შემდეგ შევიარე რებინდერთან და თითო ჭიქა შამპანიის ღვინისა დავლიეთ ალექსანდრეს სადღეგრძელოდაო.

ასე მიეგება რუსეთი თავის განთავისუფლების დღეს. ბატონყმობის მოსპობამ რუსეთში, ამბობს პროფესორი ივანიუკოვი, რომელმაც საუკეთესო თხზულება დასწერა ამ საგნის შესახებ, ენით გამოუთქმელი ცვლილება მოახდინა სოციალურ წეს-წყობილებაში. ამ ჟამიდან სხვა ხანა განვითარებისა დაუდგა რუსეთსა. მონობაზე აშენებული საზოგადო წეს-წყობილება მოისპო და მის მაგიერ ჩამოვარდა მოქალაქობრივი თანასწორობა. რუსეთი დაუახლოვდა დასავლეთს, შესდგა ფეხი ევროპიელ სახელმწიფოთა ოჯახში. გუშინდელი მონა სრული თავისუფალი მოქალაქე გახდა, მიეცა უფლება, ყოველ გვარი თანამდებობა დაიჭიროს სახელმწიფოში და, რაც უფრო საკვირველია, გახდეს მსაჯული და მოსამართლე გუშინდელის ბატონისა.

მეორე ისტორიკოსი ბატონყმობისა, პროფესორი ჯანშიევი, ცხრამეტ თებერვალს გამოცემულ მანიფესტს ადარებს სახელოვან ინგლისის magna charta libertatum-ს და აღტაცებით ამბობს, რომ ამის ბადალი კანონი ორისამი არ მოიპოვება კაცობრიობის მთელს ისტორიაშიო. ცხრამეტ თებერვალს 1861 წელს ბოლო მოეღო აზიურს რუსეთს, ველურს მკაცრს, განთქმულს მეტის-მეტის უსამართლობით, ,,черная неправда''-თი და დაიბადა ახალი, ევროპიის მსგავსი, სიმართლისა ჭ ჭეშმარიტების მიმდევარი რუსეთიო.

ეხლანდელი თაობა, რომელსაც არ უწვნევია ბატონ-ყმობის სუსხი, ვერც-კი წარმოიდგენს, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში ამ დაწესებულებას. მთელის რუსეთის ცხოვრება მაგაზე იყო

## ფელეტონი

### „ადამიანი!.."

(დასასრული *)

მარტო თედოს თვალს არ ეკარებოდა ძილი. იმას ათასი შავი ფიქრი აეშალა და უწყალოდ ჰქენჯნიდა. უნდოდა როგორმე დაეძინა, რომ ცოტა ხანს მაინც განთავისუფლებულიყო ამ ფიქრებისაგან და გახურებული თავი გაეგრილებინა, მაგრამ იმისთვის ძილი არსად სჩანდა. მალიმალ წარმოუდგებოდა თვალ წინ მომაკვდავი მეზობელი და ეს გარემოება ძალა უნებურად აფიქრებინებდა, რომ ისიც, ეხლავე თუ არა, ცოტა ხანს შემდეგ, ან ხვალ, იმავე გარემოებაში ჩავარდებოდა, როგორშიაც იყო იმისი მეზობელი, და იმის უსულო გვამსაც ისე გაიტანდნენ, როგორც მეზობლის გვამი გაიტანეს. ჰგრძნობდა, რომ მალე უნდა მომკვდარიყო; პროფესსორმა სტუდენტებს ხომ იმასთან პირდაპირ გამოუცხადა, რომ ფრილტვის ავადმყოფობა დაჰმართვია და ამასთან, როგორც ნახველის მიკროსკოპიულმა განხილვამ გვაჩვენა, დიდის ხნის Tuberculosis pneumonum (ჯირკვლიანი სიჭლექე), რომელიც ეხლა ამის სხეულზედ სწრაფ მოქმედებას იჩენსო..

„უნდა მოვკვდე!.." გაიფიქრა თედომ და მწარე ღიმილმა ტუჩებზედ ოდნავ გადაუქროლა, „მაგრამ განაგრძო იმან—მაგრე მალე?.. ჯერ რა მიცოცხლია, რა გამიკეთებია, რომ ასე მალე მესპობა სიცოცხლე?!. რა კვალი დარჩება ჩემს შემდეგ?.. ნუ თუ ასე უმნიშვნელოდ უნდა გავიარო, კვალ დაუმჩნევლად, ისე, როგორც არ სტოვებს კვამლი ჰაერში კვალს?!.."

„თუკი მაგრე უმნიშვნელოდ გავვლიდი ცხოვრების გზას, რისთვისღა გავჩნდი, რა ჰქონდა აზრად ჩემ გაჩენაში ბუნებას?! ნუ თუ იმისთვის ვცოცხლობდი, რომ გავჩნდი, და ვკვდები,—რომ ვცოცხლობდი, ვვარსებობდი?!.. ჰმ!.. მაშ რა ვარ, რა სახელი მეწოდების?"..

თედო ამ კითხვაზედ უეცრივ ორპიროვნებად გაიყო, ორ არსებად გადიქცა, და ერთმა მათგანმა წამოიძახა—„ადამიანი!." „ადამიანი?!"—გაკვირვებით დაეკითხა მეორე პიროვნება თედოსი პირველს. „ჰო!." „ხახახა... ადამიანი!.. რისთვის უნდა ვიყო ადამიანი, როდესაც მე ჯერ არა გამიკეთებიარა!.. რა გავაკეთე?.." „არაფერი", არაფერი და მაინც ადამიანი ვარ?!.. სტყუი, სტყუი, გაჩუმდი! მაშ რა არის ადამიანი?.. „ადამიანი არისსს"... დაიწყო თედოს პირველმა პიროვნებამ, მაგრამ აზრი ველარ დაათავა. ის სწრაფად შეუერთდა პირველს და თედო ისევ ერთ პიროვნებად გადიქცა, რომელსაც უნდა აეხსნა საკითხი.

„ადამიანი!.. ადამიანი!.. აადამიაანიი!.." ძალას ატანდა თავის თავს თედო, მაგრამ აზრი აზრს არ ეკარებოდა; თითქმის იმის თავში მარტო ერთი წარმოდგენის მეტი აღარა მოიპოვებოდა-რა, და სიტყვა „ადამიანი" ისევ სიტყვად დარჩა და შინაარსი ვერა მოუპოვა-რა.

გონება თან და თან უჩლუნგდებოდა და „ადამიანის" რამდენჯერმე ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამეორებით ბურანში შევიდა...

— ის ვინ მოჩანს?!.. წამოიყვირა თედომ, როდესაც თვალ-წინ წარმოუდგა ყვავილებით შემკულ ბექობზედ მშვენიერი არსება.

— ისაა, ისა!... ჩემი ელო!... აკი მამაჩემი მწერდა: „ელომ თავი მოიწამლაო, რადგანაც ძალით სხვაზედ ჯვარი უნდა დაეწერათო!.. აი, მამა ჩემო, რად მატყუებდი, რადა"?...

ქალი-კი ამ დროს თავ-ჩაღუნული იდგა და ყვავილებს უღიმოდა.

— ისაა!... ჩემი ელო! აგერ თავი მაღლა უნდა აიღოს!... მიცნის... ველარ მცნობ, ჩემო ელო?!.. წამოიყვირა თედომ და გაექანა იმისკენ.

— თედო, აქ ვინ მოგიყვანა?... ღმერთო, კიდევ შევხვდით ერთმანერთს!!.. თედო, თედო, თედო!... ჩემო ძვირფასო!...

— ელო, ელო!.. დაიძახა თედომ და თავ-დავიწყებით გულში ჩაიკრა.

— თედო, გენაცვა, ეს რა მოჩვენებაა?!.. ნუ თუ ეს ყველაფერი მართალია?!.. სვენებ-სვენებით იძახდა ელო, რადგანაც მეტის აღელვებისაგან მოუძლურდა, და თედოს მკლავებ შუა ლაფანივით იქნებოდა.

ქალს მკლავები თედოს მხრებზედ ჰქონდა გადადებული, და ასე მიშვებულს თედო თავის ტუჩებს გიჟსავით აწებებდა იმის მშვენიერ ლოყებსა და ტუჩებზედ. ნიავი-კი, ყვავილების სუნელოვანებით მაძღარი, ნაზად არხევდა ელოს ზურგზედ გადაფენილ თმას და, როდესაც ცოტათი მოუმატებდა თავის ძალას, თედოს კისერს გველსავით შემოახვევდა ხოლმე.

— ეხლა სულ ერთად ვიქნებით განა, ჩემო ელო!.. ჩვენ ერთმანეთს ველარავინ გაგვაშორებს!.. ეუბნებოდა თედო ხვევნაში და თან უფრო გრძნობა უცხოველდებოდა.

— ჰო, ჰო, ჩემო კარგო!.. თავის მხრივ ეუბნებოდა ელო.

— სამი წელიწადია განა, ერთმანეთი არ გვინახამს? ჰკითხა თედომ,

*) იხ. «ივერია», № 35.

აშენებული, ყოველისფერს ეგ აძლევდა ფერს და იერს. ბატონ-ყმობა მაჯლაჯუნასავით აწვა რუსეთსა და სულსა ჰხუთავდა. მაგის წყალობით შეუძლებელი იყო რაიმე წარმატება სახელმწიფოსი, ვერ უკეთესდებოდა ვერც საზოგადო დაწესებულებანი, ვერც ზნე-ჩვეულება, ვერა ვრცელდებოდა სწავლა-განათლება, არა ემატებოდარა ერის სიმდიდრეს. ერთის სიტყვით, ვიდრე მაგ ვეშაპს რუსეთი თავიდგან არ მოიშორებდა, წინსვლა, პროგრესი, ყოვლად შეუძლებელი იყო.

აგი მაგისთვისაც, მოიშორა თუ არა რუსეთმა დაბრკოლება, სულ სხვა სიომ დაჰბერა ქვეყანას. საზოგადო ცხოვრება უცბად შეიცვალა. ერთის მიერ იურიდიული დამორჩილება მეორისა განქრა და მის მაგიერ ჩამოვარდა მოქალაქობრივი თანასწორობა. წოდებრივი განსხვავება მოისპო, გამოჩნდნენ მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად მცხოვრებნი. ძველი ცხოვრება აშენებული იყო იმაზე, რომ ერთი-მეორის მონა უნდა ყოფილიყო, ამისათვის ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელი იყო იმ რეფორმების მოხდენა, რომლითაც ასე სახელ-განთქმულია განსვენებული ალექსანდრე II-ის მეფობა.

მხოლოდ ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ გახდა შესაძლებელი რეფორმა ერობისა, ქალაქებისა, სასამართლოსი, სამხედროსი, საერო განათლებისა, და სხვა. ბატონ-ყმობის დროს როგორ მოხერხდებოდა ნაფიც მსაჯულთა შემოღება? დღეს ტუაპუჩიანი გლეხი, მეწვრიმალე, მედუქნე, ბაზაზი, სოვდაგარი და ბრწყინვალე თავადიშვილი ერთად ბჭობენ და ასამართლებენ დამნაშავეს. ეს მოხდა იმისთვის, რომ ტუაპუჩიანიც აღიარეს კაცად, მიანიჭეს კაცური უფლება და, მაშასადამე, როგორც კაცსა, თამამად შეუძლიან გაასამართლოს თავისი მეზობელი მებატონესთან ერთად.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** ხელმწიფე იმპერატორმა 3 თებერვალს უბოძა წმინდა ანნას ორდენი მე-2 ხარისხისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, სტატსკი სოვეტნიკს, მის უდიდებულესობის კამერგერს, ლუარსაბ ალექსანდრეს ძეს მაღალოშვილს, ერთგულის სამსახურისათვის თავად-აზნაურობის წინამძღოლობაში.

*** მისს უგანათლებულესობის, ბუხრის ემირისთვის გუშინ-წინ ტფილისში 10,000 მანეთის ავეჯეულობა, ვერცხლის აზარფეშები და სხვა ჰურჭელი უყიდნიათ და გაუგზავნიათ ბუხარას.

*** დღეს, 19 თებერვალს, ტფილისის „სამუსიკო კრუჟოკში“ პირველად შეიკრიბებიან წევრნი კავკასიის მკურნალთა კრებისა და ამოირჩევენ საპატიო თავმჯდომარეს. კრება დაიწყება 21 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათზედ. კრების მუშაობა და ის საგნებიც, რომლის შესახებ ექნებათ სჯა წევრთ, განყოფილია 4 ნაწილად: პირველ ნაწილის საგნები და მუშაობაა ის, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებულნი წინდაწინვე ხოლერის ასაცილებლად; მეორე ნაწილისა—როგორ უნდა იქმნას შეზღუდული ხოლერა ერთს რომელსამე ადგილს; მეოთხისა—საქმე ასენიზაციისა; მესამესი—ხასიათი და თვისება ხოლერისა, რომელიც შარშან იყო კავკასიაში და ის ღონისძიებანი, რომლითაც ჰკურნავდნენ ხოლერით ავადმყოფებს. კრება გათავდება 28 თებერვალს.

*** 16 თებერვალს სამეურნეო საზოგადოების კრებაზე გარეშე კაცნიც დაესწრნენ. კრებამ თითქმის მთელი საღამო მოანდომა აგრონომ ფირალოვის მოხსენების განხილვას, რომელიც 26 იანვარს იყო წაკითხული სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე და შეეხება მცენარეთა სეტყვისაგან დაზღვევას. უმრავლესობა კრებისა დიდის კამათობის შემდეგ იმ აზრს დაადგა, რომ ჯერ ვერ გარდავსწყვეტავთ, სხვა-და-სხვა მცენარეთა სეტყვისაგან დაზღვევა პრინციპიალურად სავალდებულო უნდა იყოს ყოველ მეურნესათვის, თუ არა, რადგან ბ-ნ ფირალოვის მოხსენებაში საკმაო ცნობა არ არის იმის შესახებ, თუ რომელ კუთხეს ამიერ-კავკასიისას რა გვარ ვნებას აძლევს სეტყვა. ამიტომ ჯერ ასეთი ცნობები შევკრიბოთ, შევადგინოთ რუქა ამიერ კავკასიის იმ კუთხეებისა, სადაც მეტნაკლებობით სეტყვას ზარალი მოაქვს მცხოვრებთათვის, და მანამდე-კი მოსკოვის სეტყვისაგან საურთი-ერთო დამზღვევლ საზოგადოების წესდება და მოქმედება განვუმარტოთ ჩვენს მეურნეებსაო.

შემდეგ განიხილეს ბ-ნ ს. თ. მელიქ-ბეგლიაროვის მოხსენება ბამბის მოყვანის შესახებ. ბ-ნ მელიქ-ბეგლიაროვს სამის წლის განმანმავლობაში მოჰყავდა ბამბა და თავის გამოცდილებით იცის, რომ ორ დღიურ მიწის შემუშავებას 15—20 მანეთი ხარჯი აქვს; ბამბა მოვა 15 ფუთამდე. ფუთი რომ 7 მან. 50 კ. ჩავაგდოთ, შესდგება 112—15 მან. რადგანაც ესეთი გამოსავლიანია ბამბა, ბ-ნ მელიქ-ბეგლიაროვს საჭიროდ მიაჩნია ურჩიოს საზოგადოებამ იმ სოფლების მემამულეთ, სადაც ვენახები ძლიერ დაზიანებულია ფილოქსერისაგან დაილუპება, ვაზის მაგიერ ბამბის მოყვანას და აბრეშუმის ჭიის მოშენებას მიჰყონ ხელი.

*** კვირას, 14 თებერვალს, ტფილისის სომეხ—ნერსესიანთ სემინარიამ თავის დამაარსებლის კათოლიკოზ ნერსეს V გარდაცვალების დღეს წირვა და პანაშვიდი გარდაიხადა. საზოგადოება დიდი არ დასწრებია. სემინარიის რექტორმა, ბ-ნმა კ. კოსტანიანმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის სომხის ერის წინაშე განსვენებულ კათოლიკოზსაო.

*** დიდუბელებს თხოვნა მიურთმევიათ მთავარ-მართებლისათვის,—დაგვრთეთ ნება, რომ მუშთაიდის ბაღით იყოს სავლელი გზა დიდუბესა და ქალაქ შუაო. ამის შესახებ ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი შეჰკითხებია ქალაქის მოურავს, რამდენად სამართლიანად მიაჩნია ქალაქს დიდუბელების თხოვნაო. ტფილისის ქალაქის მოურავს ამის შესახებ შემდეგი თავისი აზრი წარმოუთქვამს: რადგან მუშთაიდის ბაღი ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგეობის ხელშია, ამიტომ ამ ბაღით თავისუფალ გავლა-გამოვლის ნება-რთვა ამ გამგეობამ უნდა მისცესო. ხოლო დიდუბელების თხოვნა სამართლიანია და შეწყნარების ღირსიაო, იმიტომ რომ: 1) ქალაქსა და დიდუბეს შუა მუშთაიდი არის მოკლე გზა, რაიცა დიდად საჭიროა დიდუბელებისა და ქალაქელების მიმოსვლისათვისაო, 2) მუშთაიდის გზით რო აიკრძალოს სიარული, მაშინ შორს მოსავლელი გზა გააძნელებს მისვლა-მოსვლას დიდუბელებისას დ ქალაქელებისას ერთმანეთ შორის და დიდუბეში მყოფ ქალაქის საკუთარ მამულების ფასი დაეცემაო. საზოგადოდ ყოველ-დღიურ საჭიროების დასაკმაყოფილებლად დიდუბელებმა ქალაქს უნდა იარონ და ქალაქელებიც ხომ ხშირად დადიან სალოცავად დიდუბის ეკკლესიაში; რაც შეეხება მუშთაიდის გზის განათებას—ამას თითონ ქალაქი კისრულობს წინანდელ პირობისამებრ და, მაშასადამე, მთავრობას ამ გზისათვის არა დაეხარჯება-რაო.

*** ბათუმი: ამას წინად წავიდა აქედამ გურიაში ჩიკაგოს გამოფენის გამგებელთა სანდო კაცი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, შეჰკრიბე რამდენიმე ცხენოსანი გურული ვაჟკაცი და ჩიკაგოს გამოჰგზავნეო. ამ კაცს უკვე შეუკრებია ეს დასი, რომელშიაც 10 კარგი ვაჟ-კაცია, მშვენივრად გამოწყობილი და შეთოფ-იარაღებული. ეს დასი 13 თებერვალს უკვე ჩამოვიდა ბათუმს და ამ მოკლე ხანში გაემგზავრება კიდეც ამერიკას.

*** სოფ. თეკლათი (სენაკის მაზრა): ამ თვის 12 თეკლათის საზოგადოებაში ყრილობა მოახდინა სენაკის მაზრის უფროსმა, შესახებ სასოფლო ბანკის დაარსებისა. მაზრის უფროსის მაგიერ კრებას დაესწრო მისი თანაშემწე ლაზარენკო და მომრიგებელი შუა-კაცი თავ. ერისთავი. ერისთავმა საზოგადოებას მდაბიურად აუხსნა, თუ რამდენად სასარგებლოა ასეთი დაწესებულება სოფლისთვის. სამწუხაროდ კრებამ უარი განაცხადა სასოფლო ბანკის დაარსებაზედ და ეს უარი მით დაასაბუთა, რომ რამდენისამე წლის წინად, ათას ფუთ სიმინდზე მეტი შევაგროვეთ და ერთი დიდი სასიმინდეც ვიყიდეთ, მაგრამ დღეს მისი კვალი არსადა სჩანსო. მიწამ ჩაყლაპა, თუ ცამ, არა ვიცითრაო. სწორედ ასევე დაემართება თქვენ მიერ დასახელებულ ბანკსაო. „არ გვინდა არ გვინდაო“-ს ძახილით დაიშალა ხალხი...

*** ახალ-სენაკი: ჩვენკენ საკმაოდ სუსხიანი ზამთარია. აგერ თებერვალიც გადის, მაგრამ იოტის ოდენა სითბო არ გვიგრძნია ჯერ-ჯერობით.—ამ ხანგრძლივმა და ცუდმა ამინდებმა სოფლებში გაავრცელა სხვა-და-სხვა მოარული.

ახალ და ძველ-სენაკის შუა გზა ტკეცილი ერთობ გაფუჭებულია გზის ნაპირებზედ ხრეში აგროვია რომელიც უალაგო-ალაგას და თხრილებში ტყუილად იფანტება. ნეტა ვიცოდეთ რისთვისაა საჭირო ეს ხრეში თუ ახლავე არ მოახმარებენ ოღროჩოღრო გზას...

როგორც მოგეხსენებათ, წარსულ წლის მიწურულში აქაურ ფოსტას, რომელსაც 40,000 მანეთზედ მეტი მიჰქონდა ქურდები დაეცნენ, მაგრამ ფოსტის მოხელეებმა ხელ ცარიელნი გაისტუმრეს. გამოძიებამ გუმანი ექვს კაცზედ მიიტანა, რომლებიც შეჰკრეს და ქუთაისის ციხეში დაამწყვდიეს.

*** სომხურ გაზეთს „არძაგანკს“ გამოუანგარიშნია ეხლა ტფილისის ამომრჩევთა რიცხვი—2,212. აქედგან სომეხია 1,285 (53%), რუსები—506 (21%), ქართველები—381 (16%), გერმანელები—106 (4,4%), თათრე-

---

როდესაც კოცნა შეწყვიტა და აღგზნებულის თვალებით მზერა დაუწყო ელოს.

— სამია და მე სამ საუკონოდ მეჩვენა, ჩემო თედო! ეხლა კი აღარსად გაგიშვებ, სულ ჩემთან იქმნები!..

— ძალითაც რომ გამაგდო, არსად წავალ! შენი ვარ სამუდამოდ. ეხლა ჩქარა გავათავებ უნივერსიტეტს და ჯვარს დავიწერთ. აი, მაშინ იქმნება ჩვენი დრო! აღტაცებით წამოიძახა თედომ და მოსახვევნად ხელები გაშალა.

— არ მინდიხარ!.. ეშმაკურად ჰკრა ხელი ელომ და გაიქცა.

— სად გარბიხარ, კუდრაჭავ, შენი ეშმაკობა მოიგონე!? მიაძახა თედომ და უკან დაედევნა.

თედოს სიტყვებზედ ელო უეცრივ მოტრიალდა და ხელები მოსახვევნად თედოსაკენ გაიშვირა.

— ვერ გარბენინე! გულიანის, უმანკო სიცილით უთხრა ნიშნის მოგებით და გადაშლილი თმა თავის გაქნევით შეიბერტყა.

— ელო, რა ლამაზი რამა ხარ! გატაცებით შესძახა თედომ და გულში ჩასაკონად მომზადებულ ელოს ღონივრად მოჰხვია მკლავები.

— აღარ გახსოვს, ჩემო ბუტიავ, როგორ დავრბოდით ხოლმე მე და შენ მინდორში და ვკრებდით ყვავილებს?

— განა ეგ დამავიწყდება, ჩემო კუდრაჭავ! ეგეც რომ დამავიწყდეს, სხვა რაღა უნდა მახსოვდეს, მაგისმეტი სიკეთე რა მომაგონდება ჩემის ცხოვრებიდგან.

თედო და ელო გადახვეულები ჩასხდნენ იქვე ყვავილებ შუა და დაიწყეს ტკბილად ჭუკჭუკი. იგონებდნენ წარსულს, ერთად გატარებულ დროს, და ამით სიამოვნებდნენ.

მოიგონეს ისიც, თუ როგორ განშორდნენ ერთმანეთს ამ სამის წლის წინად, როდესაც თედო სასწავლებლად გაემგზავრა და ერთმანეთს შეჰფიცეს.

— იცი, თედო, შენ რომ მიდიოდი, მე მეგონა აღარ დაბრუნდებოდი. მტანჯავდა ეს აზრი, მინდოდა დამეშალა შენთვის, მაგრამ ვეღარ გაგიბედე, ვაი თუ დამცინოს-მეთქი.

— სულელო, ეგ რამ გაფიქრებინა?! სიცილით უთხრა თედომ.

— რა ვიცი!.. სიცილითვე უპასუხა ელომ.

— ხომ დაისვენე? ჰკითხა ელომ, ცოტა სიჩუმის შემდეგ და მარდად წამოხტა ფეხზედ. წავიდეთ, კიდევ ვირბინოთ.

— ვირბინოთ! სირცხვილიც არის ბებრებივით ჩავსხედით და წარსულს ვიგონებთ, როდესაც წინ ჯერ ბევრი რამ უკეთესი მოგველის! უპასუხა თეომ. ისიც მარდად წამოხტა.

— აბა, ვინ წინა და ვინ უკანა! წამოიძახა ელომ და გაიქცა.

— დაგეწევი, კუდრაჭავ!

— ვერა!

გარბის ელო. უკან თედო მისდევს. ორივენი ცდილობენ, რაც შეიძლება, მარდად გაიქცნენ. უეცრად ორივემ იგრძნეს, რომ ფრენა შეუძლიანთ. გარბიან, თითქმის დედამიწას ფეხს არ აკარებენ. მიჰფრინავენ. დასრიალობენ, დანავარდობენ ჰაერში და უზრუნველად ერთმანეთს ეალერსებიან და ეხვევიან. გაისრიალეს ათას ფერად აყვავებული ტყე, მინდორი, ღელეები და მთები. ყველა ამათის მზერით სტკბებოდა და ამათ მნახველთ ერთმანეთისადმი გრძნობა უცხოველდებოდათ. თითქმის მთაც, ტყეც, მინდორიც და ყველა მცენარე იმათ გულში სიყვარულს აწვეთებდა.

— დაიცა, ეს სად მოვედით!.. ერთბაშად შედგა თედო და ელოც შეაყენა. უეცრივ შეეცვალა სურათი და იმათ თვალს ერთი უზარმაზარი შენობა წარმოუდგა, რომელიც დავრემით გასცქეროდა თოვლით შემოსილ, უდაბნოს მგზავს მიდამოს.

— გენაცვა, ელო, წავიდეთ აქედგან, თორემ სული მეხუთება! გესმის?! კვნესა, კვნესა და კვნესა!... თითქმის ტირილის ხმით წამოიძახა თედომ.

— სადა ვართ?! აქ როგორ შემოვედით?! ჰა? ესენი ვინ არიან? გარშემო სულ ჩაყვითლებული სახეები, მკვდრების მგზავსები!..

ის უეცრივ დააცქერდა ერთ ტახტს, რომელზედაც სულთ-მობრძავი იწვა და უგონოდ ხელებს აფათურებდა. თედო უეცრივ გაფითრდა, ელოს ხელი სტაცა.

— ელო, აი იმას ჰხედავ?! რა ნაირად მგავს მე! ელო, ელო, ვინ არის ის?

— ნუ გეშინიან, ადამიანია!

— ადამიანი!.. ელო, მიშველე, წავიდეთ აქედგან!.. აგერ როგორ მიცქერის!.. მეშინიან!

— ნუ გეშინიან, ჩემთან არა ხარ! აბა შემომხედე, ჩემო თედო!

— ჰა, ელო, შენა? ოოჰ!.. ამოიოხრა თედომ და მაგრად მოჰხვია ხელები ელოს.

— მაგრად მიიკარ შენი ელო, მაგრად!

— ელო, ელო, ჩემო კარგო! რა ბედნიერი ვარ, რომ შენ ჩემთანა ხარ!.. ეუბნებოდა თედო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ელოს გულში იკრავდა, თითქოს უნდოდა ელო სრულიად შეეხორც-შეეთვისებინა და ასე ერთ არსებად ქცეულიყვნენ ორივენი.—

უკვე ერაჟრაჟენა. და—მოწყალებისა შემოვიდა, რომ ავადმყოფებისთვის დილის ლოცვა წაეკითხნა და პირველად თედოსთან მივიდა. თედო ამ დროს უკანასკნელად შეკრთოლდა და სამუდამოდ თვალები დახუჭა.

— გარდაიცვალა!.. წამოიძახა მწუხარებით დამ და თედოს გამხმარ სახეს დაეკონა.

მშობლის მაგივრად მან დაასველა თედოს სახე ცრემლით და საუკუნოდ განსვენება უსურვა.

შ. არაგვისპირელი

ვარშავა 3 დეკემბერს, 1892 წ.

ბი—56 (2,3%), პოლიაკები—45 (2%), ებრაელები—10 (0,4%), 2 იტალიელი, 1 ფრანცუზი. დანარჩენი 20 ამომრჩეველი—სხვა-და-სხვა დაწესებულებაა.

*** „Т. Л.“-ის სიტყვით, 14 თებერვალს ქ. ბაქოს შემდეგი ამბავი მომხდარა: ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზედ ადგილობრივ ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ბ-ნ ჟილას ოჯახობა და საგუბერნიო მეხანიკ ბ-ნ აბრამოვიჩის ცოლ-შვილი ბარქაზში ჩასხდნენ და ზღვით გაისეირნეს კარგა რომ მოშორდნენ ზღვის ნაპირს, გაუფრთხილებლობით ბარქაზიდგან ზღვაში ჩავარდა 15 წლის გასათხოვარი ქალი აბრამოვიჩისა. დაიწყეს ყვირილი, მაგრამ მშველელი არსაიდგან გამოჩნდა. ამ დროს ბარქაზიდგან ჩახტა წყალში ბ-ნი ჟილა და რამდენსამე წამს შემდეგ აბრამოვიჩის ქალი ამოიყვანა ზღვიდამ. გულითადს მადლობას საზღვარი არა ჰქონდა. აქ საყურადღებო ისაა, რომ ბ-ნი ჟილა ნაავადმყოფარი იყო და მაინც კაცთ-მოყვარეობამ თავი გამოამეტებინა. „წყალში დარჩობისაგან გადამრჩენელ საზოგადოების“ თავმჯდომარემ წარუდგინა მთავრობას მოხსენება, ბ-ნი ჟილა, ოქროს მედლით დაჯილდოების ღირსია გმირულ მოქმედებისათვისაო.

*** 16 თებერვალს ტფილისის მცხოვრებელმა სოფიო სირიკოვისამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ 15 თებერვალს საღამოს 8 საათზე მუსულმანთა სასაფლაოს ვიწრო ქუჩაზე თავს დამეცა ეიდარ მოლლ-მუსა-ოღლი წამაქცია და ჯიბიდგან ძალად ერთი მანეთი ამომაცალაო. დამნაშავე შეიპყრეს.

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნენ სათადარიგო ჯარში: ყარსის ციხის ჯარის პოდპოლკოვნიკი ქაჯაია; სუხუმის სათადარიგო ჯარის კაპიტნები—ქუთათელაძე და მგალობლიშვილი; შტაბს-კაპიტნები—ვართანაშვილი, წერეთელი, პორუჩიკები—ავალიშვილი, ანჩაბაძე, და პოდპორუჩიკები—წერეთელი, კლდიაშვილი, ზურაბიშვილი და ყარაშვილი; სალიანის სათადარიგო ჯარის—შტაბს-კაპიტანი—ასათიანი, პორუჩიკი—ჟურული; პოდპორუჩიკები—ნათიშვილი, ჯომარჯიძე და თეთრუაშვილი; მეორე კოვნის ციხის ჯარის პოდპორუჩიკი—ბაქრაძე გადაყვანილ იქმნა ყუბანის ყაზახთა პლასტუნის ჯარში და მიეცა სოტნიკობა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი** (30 იანვარი). რამდენადაც ღვინის მოსავალი იყო უხვი შიდა კახეთში, იმდენად და უფრო გარდამატებითაც პურისა, ქერისა, სიმინდისა და ფეტვისა იყო ნაკლები. როგორც წარსულმა წელიწადმა ცხადად დაგვანახა, ვაზსა და სულადს ერთი ამინდი არ მოჰხდომია: როცა ვაზისათვის საჭიროა წვიმა, მაშინ სულადის მოსავლისთვის მავნებელია. განსაკუთრებით გვალვა სწყენს სიმინდს, დაჟინებული წვიმა თიბათვეში პურის და ქერისათვის არის მავნებელი. ადრე გაზაფხულზე წვიმები სულადისათვის კარგია, მაგრამ ვაზისათვის მაზარალებელი, რადგანაც მაშინ წვიმა მალე აგრილებს ჰაერს და ახლად გამოსულს ვაზის კვირტს ვერ აუტანია ეს სიცივე, რომელიც ან აბერწებს ვაზს, ან კვირტის გაშლას აფერხებს, აგვიანებს.

სხვათა მიზეზთა შორის მთავარი მიზეზი მოუსავლობისა ამინდი იყო. წარსულს წელიწადს საზოგადოდ მცირე იყო სულადის მოსავალი და განსაკუთრებით მცირე იყო მოსავალი სიმინდისა, ქერისა და ფეტვისა. თითქმის სიმინდი და ფეტვი სულ არ მოვიდა, ასე რომ ბურდოს და ფოჩხსაც ვერ გამორჩნენ საქონლის საკვებად.

თუმცა სარწყავი ადგილები ქიზიყში სულ არ არის და კაკეთში კიდევ ძალიან მცირეა, მაგრამ იმ მცირე სარწყავ ადგილსაც სიმინდმა ტარო არ დაიყარა რიგიანად. პურს და ქერს გვალვამ მარცვლების დროს მოასწრო და ისე აშუშა, რომ ხუთმეტ-თექვსმეტს ათეულს თორმეტ ლიტრიდამ ორ კოდამდის ძლივს გამოდიოდა, ე. ი. $3^1/_2$ ფუთიდამ 5 ფუთამდე, თანაც დღიურს გამოდიოდა სულ რვა ათეული, მაშინ, როცა საშუალო მოსავლის დროს დღიური აჭრის ხოლმე ოციდამ ოც-და-ოთხ ათეულამდე. ამასთან ნამჯა ისე იყო გაფიცხებული, რომ ლეწვის დროს მტვრად მიდიოდა და იმის მესამედი ბზე არა სდგებოდა, რაც უნდა დამდგარიყო. თუ ამას ზედ დავუმატეთ, რომ იმავე გვალვის მიზეზით ბალახი ნაკლებად მოვიდა, როგორც სათიბი, ისე საძოვარი, მაშინ ცხადად წარმოიდგენს მკითხველი, რამდენად მცირედი სანუგეშებელი იყო უხვი ღვინის მოსავალი კახელებისა და ქიზიყელებისათვის, რომელთაც სულადის მოუსავლობით გაჭირებულებმა თითქმის მეათედ ფასად გაყიდეს და მაინც დროზე მუშტარს ვერ შოულობდნენ.

რასაკვირველია, ყველგან ერთი მიზეზი არ იყო მოუსავლობისა, მაგრამ შეიძლება ითქვას საზოგადოდ, რომ ზემო-კახეთში მოხსენებულმა მიზეზმა დაჰბადა მოუსავლობა და ქვემო-კახეთში,—ქიზიყში, ამ მიზეზებს დაერთო ზედ თაგვი. ესრედწოდებულ წინამხარში ძველ ანაგას, ყარალოჩში და შირაქის ერთ მხარეს თაგვი სწორედ იმ დროს გაჩნდა, როცა პური და ქერი ოდოშ-ღერი იყო, ათი დღეც რომ გასულიყო კმაროდა, რომ ნამგალს დაესწრო თაგვისათვის, მაგრამ, საუბედუროთ, ამ ათ დღეში თაგვებმა თავ-თავი მოაშორა ნამჯას და პატრონები ცარიელზე დასვა. შირაქში, სადაც თაგვი არ იყო, ადრე გაზაფხულზედ დაჟინებულმა წვიმებმა ააჩალავა ყანები, თანაც ზედ შამბი გადაატარა, ისე, რომ დღიურზე თითოოროლა ათეულს ძლივს აგროვებდნენ; ერთის სიტყვით მომკალის ფასს და საგძალს ვერ იბრუნებდა პატრონი.

მართალია უკანა მხარში კარგი მოსავალი იყო პურისაც და ქერისაც, მაგრამ რაკი მომეტებულს ნაწილს შიქარისას, წინამხარს და ზემო კახეთს ნაკლები მოსავალი მოვიდა და რადგანაც ზემო კახეთში სიმინდი და ქიზიყში კიდევ—ფეტვი, ეს ორი დედა-ბოძი გლეხ-კაცობის საზრდოობისა, თითქმის სრულიად არ მოვიდა, ძალიან დაეტყო გლეხკაცის მდგომარეობას. ან-კი როგორ არ უნდა დასტყობოდა, რომ პურის ფასმა კალოობაშივე თორმეტ აბაზამდე აიწია, აგვისტოს გასულს სამი მანეთი გახდა კოდი; ენკენისთვიდგან დაწყობილი დღევანდლამდის, როგორც სიღნაში, ისე აქ, ფუთი ფქვილი ექვს-აბაზიდამ ცხრა აბაზამდის ისყიდება. თელავში კიდევ ორიოდე გზობა ქართლიდამ (გორის მაზრიდამ) მოიტანეს პური, თორემ იქნება ორ მანეთს კიდეც ასცდენოდა ფუთი. სიმინდი, ეს ფრიად საჭირო საზრდო ზემო კახეთის გლეხ-კაცისა, კოდი თორმეტ აბაზიდამ სამ მანეთამდის ისყიდება, ისიც შარშანდელის მოსავლისა.

თუ გაიხსენებს მკითხველი, რომ რუსეთში გაჩაღებულ სიმშილობის დროს ფუთი ფქვილი შვიდ აბაზს არ ასცილებია და აქ აგერ ხუთი თთვეა, შვიდ აბაზზე მეტად ისყიდება, ცხადად წარმოიდგენს, რა გაჭირვებაში უნდა იყოს ხელ-მოკლე გლეხი და მომეტებული ნაწილი თელავის მცხოვრებელთა, რომელნიც დანაბრებულნი იყვნენ და არიან თელავის მაზრაზე, სადაც თითო-ოროლა ფუთობით ჰყიდულობენ შეუძლებელნი, რომელნიც 90% შეადგენენ მცხოვრებთა რიცხვისას. ამას დაუმატოთ, რომ ამ პაწაწინა ქალაქში, სადაც თავში რომ დაიძახოთ, ბოლოში გაიგონებთ, აქაც ჩარჩების ხელში ვართ ჩაცვივნულები. იმის მაგიერ, რომ გლეხისაგან შემოტანილი პური პირდაპირ ისევ გლეხმა, ანუ ღარიბმა თელავის მცხოვრებელმა იყიდოს წვრილ-წვრილად, რადგანაც ბევრის ერთად სყიდვა არ შეუძლიანთ, დაეცემა ჩარჩი, აიწონს მიმტანისაგან; მაშინვე ფუთში ორ შაურს, აბაზს წაუმატებს და ისე ჰყიდის თვითო ოროლა ფუთობით; შეშა რა არის, არ შეიძლება იყიდოს კაცმა, რომ ჩარჩი არ ჩაგვიდგეს შუაში. აქ დავანებოთ ამას თავი. ამისთანაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს და როდისმე ცალკე მოვილაპარაკოთ.

სულადის უმოსავლობას დაემატა სიმცირე თივისა და ბზისა. ამან ბევრს გაამეტებინა, ძნელად გასამეტებელი საქონელი გასასყიდად და ჯერ კიდევ სად არის, თოვლი ნახევარ არშინზედ ძევს, იქნება მესამედი და მეოთხედი საქონელიც ვერ გაიყვანოს საწყალმა გლეხმა გაზაფხულის მწვანეზედ. ქიზიყში უმოსავლობას დაემატა ჭირხლი ეს ნამდვილი ხოლერა მოცადის საქონლისა, და საქონელს დიდი ზარალი მისცა. ამასთან ცხვარიც დაზარალდა, ისე რომ ნახევარი არ შერჩება პატრონს.

ერთი საჩინო შემოსავლის წყარო ქვემო კახელებისა, ქიზიყელებისა არის ღორი. ღორი ბევრია ქიზიყში და ქრისტეშობისთვის დამდეგიდამ დიდ-ძალი ისყიდება ხოლმე ყოველ წლივ. მომეტებული ნაწილი მიჰყავთ იმერეთში, განსაკუთრებით რაჭაში, სადაც ღორს ძველადვე „კახურს“ ეძახიან.

წლევანდელმა გვალვამ ტყეებიც აშუშა: არც მუხამ და არც წიფელმა ნაყოფი არ დაისხა, ეს ერთად-ერთი იაფი საშუალება ღორის გასასუქებელი, შვინდი ხომ ზედ ხეზედ შეიწვა გვალვისაგან. აბა თორმეტ აბაზად და სამ მანეთად ნასყიდ სიმინდით ხომ ვერ გაასუქებდნენ და იძულებულნი შეიქმნენ ნახუთალ ფასად გაეყიდნად, თუ-კი გამხდარ ღორის მყიდველი გამოჩნდებოდა.

დღეს თელავში გირვანქა 8—10 კ. ხორცი, 23 კ. ყველი, 15 კ. ღორის ქონი, 35 კ. ერბო, 6 კ. ლობიო, სამი ორ შაურად კვერცხი, ქათამი სამი აბაზი, დამპალი ორაგული 30 კ. საზოგადოდ თევზეულობას მეტად საეჭვო ღირსებისას ჰყიდიან. სოფელში გადუყრიდნენ და აქ, სადაც დიდიც ჰხედავს და პატარაც, თავისუფლად ჰყიდიან.

ყველა ზემორე ნათქვამი რომ ერთად შევკეცოთ, ნათლად შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა გაჭირვებული მდგომარეობა საზოგადოდ მთელის კახეთისა და განსაკუთრებით ღარიბ მცხოვრებთა. ეს უნუგეშო მდგომარეობა ღარიბებისა, რაც ხანი გავა, უფრო და უფრო გაძლიერდება. ჩვენ-კი ყურებს არ გავიბერტყავთ, მანამ შესაძრწუნებელ მსხვერპლ თვალით არ დავინახავთ. ღარიბთა და გაჭირვებულთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად აუცილებლად საჭიროა: 1) სოფლის მაღაზიები გაიმართოს და გაჭირვებულებს მიეცეს სესხით პური; ძალიან გაფაციცებით თვალ-ყურის დევნება-კი უნდა, რომ მართლა გაჭირვებულებმა ისარგებლონ; 2) თელავის ბაზარს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რომ ჩარჩები ჩამოეხსნან და ვაჭართ ვაფუჭებულ ხორაგის ყიდვა აეკრძალოთ; 3) რადგანაც თელავში დღიურად პურის მსყიდველნი ბევრნი არიან, საჭიროა, მდიდარის კაცების დახმარებით, აღმოაჩინონ ღონისძიება, მოიტანონ პური ტფილისიდამ, ან ქართლიდამ და ისე ჰყიდონ, როგორც დაუჯდებათ. პირველის ორ მუხლის შესასრულებლად საჭიროა სასტიკი ბრძანება, ხოლო მესამისთვის გულითადი თხოვნა მიმართული მდიდარ კაცებისადმი, რომ იმათ უსარგებლოდ და მოკლე ვადით გასცენ ფული კეთილის საქმისთვის.

ნადიკვრელი.

## უცხოეთი

### სიტყვა გლადსტონისა ჰომრულის შესახებ

(შემდეგი *)

მე ვსთქვი, ირლანდიაში ერთობა არა სუფევს-მეთქი. ეს მართალია იმ მხრივ, რომ ირლანდიის ერთს ნაწილში, არა თუ უმაღლესი წოდება, ეს მართალი იქნებოდა მთელ ირლანდიის შესახებაც-კი რომ მეთქვა, დაბალ ხალხის უმრავლესობა წინააღმდეგია მთელის ირლანდიის სურვილისა და ერთს, თუმცა მცირე ნაწილში წინააღმდეგთა რიცხვი უმრავლესობას შეადგენს. ასეთია საქმის ვითარება. მე არა მსურს განვმარტო, რა მნიშვნელობა აქვს ამ ვითარებას. არა მსურს აგრეთვე მოვიხსენიო, როგორი ძალა აქვს ირლანდიის ამ უმცირესს ნაწილს და თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთს გარემოებას მივაქცევ, რომელსაც ჩემის აზრით, ფრიად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ამბობენ ხოლმე, მგონი, ეს აზრი ამ დღეებში ოპოზიციის მეთაურისაგან გავიგონე, და თუ გინდაც არ ამბობდნენ, ყველამ კარგად ვიცით, რომ ოპოზიცია ასე ჰფიქრობს, ჩრდილოეთ ირლანდიის წარმომადგენელთა უმცირესობა ჰომრულის წინააღმდეგიაო. იმის დასამტკიცებლად, რომ რომელსამე გარემოების შეცვლა შეუძლებელია, უპირველეს ყოვლისა საჭიროა დავამტკიცოთ, რომ ეს გარემოება არასოდეს არ შეცვლილა. მაგრამ წარსულ საუკუნის მიწურულში, ირლანდიის პროტესტანტები, იმ დროს, როცა ირლანდიის პარლამენტი ჯერ კიდევ არსებობდა, სულით და გულით ადგნენ კეთილს გზას ირლანდიისთვის თავისუფლების მოპოვებისას. ამ დროს ირლანდიის პოლიტიკურ ცხოვრებაში პროტესტანტები მეთაურობდნენ. ეს გარემოება მთავრულ ასოებით უნდა აღინიშნოს იმ დროის ისტორიაში. მოვიყვან ერთს, ფრიად მარტივსა, მაგრამ მაინც ფრიად მნიშვნელოვან მაგალითს. 1792 წელს, ნოემბერში, დუბლინს შეიკრიბა კათოლიკეთა კონვენტი, რომელსაც სხვა დროს, შეიძლება, დიდი განხეთქილება მოჰყოლოდა. ამ კრებას სახელად უწოდეს „შავი ქუჩის“ პარლამენტი, იმ ქუჩის სახელი, რომელზედაც იკრიბებოდა კონვენტი. კონვენტმა შეიმუშავა თავისი თხოვნა საპოლიტიკო თანასწორების მინიჭებისა. მერე საით გაემგზავრნენ უპირველეს ყოვლისა კომისარები კონვენტის გარდაწყვეტილების გამოსაცხადებლად? კომისარები ყველაზედ ადრე გაემგზავრნენ ბელფასტში. მერე როგორ დაუხვდნენ ამ კომისარებს ოლსტერის უმთავრეს ქალაქის მცხოვრებნი? მცხოვრებნი ქალაქ გარედ გამოვიდნენ კომისარების მისაგებებლად. ეტლებიდგან ცხენები გამოუშვეს და დიდის პატივის ცემითა დ დიდის ამბით კომისარები მთელს ქალაქში შემოატარეს. ასეთის გრძნობებით იყვნენ გამსჭვალულნი ირლანდიის პროტესტანტები ასის წლის წინად. ჩვენ აშკარად ვნახეთ, რომ პროტესტანტთა ეს გრძნობანი მათდა უნებურად შეიცვალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ გვინდა შევიგნოთ, რომ შესაძლოა, აწინდელი პროტესტანტები დაუბრუნდნენ წინაპართა კეთილგრძნობებს და თავის ერის სარწმუნოებას, არ გვინდა შევიგნოთ, რომ შესაძლოა, პროტესტანტები შეუერთდნენ თავის თანამემამულეთ და მათთან ერთად შეადგინონ პატიოსანი და სახელოვანი ერი (ხანგრძლივი ტაშის-ცემა). ერთი სიტყვაც. მე არა მსურს ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ მხოლოდ ინგლისის უმრავლესობაა ჰომრულის წინააღმდეგი. არ მსურს, დავემუქრო ინგლისს, რადგანაც კარგად ვიცი, რომ მუქარა ვერავის ვერას დააჯერებს, ვერას დაარწმუნებს. არ ვიტყვი აგრეთვე, რომ ინგლისს ძალ-ღონე გამოელევა, თუ მუდამ წინააღმდეგობას გაუწევს ირლანდიის სამართლიანს თხოვნასა, რადგანაც ჩემის აზრით, ინგლისს შეუძლიან ძლიერ დიდხანს გაუწიოს წინააღმდეგობა სახელმწიფოს სხვადა-სხვა ნაწილს და მედგრად ებრძოლოს, მაგრამ, ეჭვი არ არის, რომ ამ საქმეს უნდა შეალიოს თავისი ძალ-ღონე, რომელიც, უმჯობესი იქნება, სხვა უფრო საკეთილო საქმეს მოახმაროს. სასურველია შევიტყო, დაბოლოვებით გადასწყვიტა თუ არა ინგლისმა, არასოდეს არ აუსრულოს ირლანდიას ის სამართ-

*) იხ. „ივერია“ № 35.

ლიანი თხოვნა, რომელიც ჩვენ გვინდა ეხლა ირლანდიის სახელით წარუდგინოთ პალატას. ამის შესატყობად საჭიროა თვალი გადავავლოთ, რა მოხდა ინგლისში ამ უკანასკნელ დროს. ყველამ კარგად ვიცით, რა სთქვა ტორიების სახელოვანმა მეთაურმა: „თუ ძალ-მომრეობის პოლიტიკამ ლელო ვერ გაიტანა, მიზეზი ის არის, რომ მთავრობა საკმარისად გაბედვით არ იქცეოდა; დღეს ამგზას ადგა, ხვალ იმას, დღეს ისე ფიქრობდა, ხვალ ისე“ ტორიების მეთაური ურჩევდა ინგლისს, გაბედვით მოიქეცით. ძალმომრეობას მეტი ძალა დაატანეთ და მაშინ ირლანდიის მართვა-გამგეობა სრულიად არ გაგიჭირდებათო. ინგლისმა ეს რჩევა შეიწყნარა და 1886 წელს 465 დეპუტატთა შორის ამოარჩია 127 ჩვენი მომხრე და 338 ჩვენი და ირლანდიის თავისუფლების წინააღმდეგი დეპუტატი; მაშინ სახელოვანმა მარკიზმა სთქვა, რომ ირლანდიის თავისუფლების საქმემ ჩაილულის წყალი დალიაო (სიცილი). მაგრამ როგორ გამტყუნდა ეს აზრი პატივცემულ მარკიზისა! მას აქედ ბევრს ხანს არ გაუვლია; მაგრამ ეხლა დეპუტატთა 127 რიცხვი 197-მდე ავიდა, 338-კი 268-მდე ჩამოვიდა. 1886 წ. ირლანდიის წინააღმდეგ ინგლისელ დეპუტატთა რიცხვი იყო 211 და ეხლა-კი ეს რიცხვი 71 გახლავთ. ბრიტანელთა ენერგიისა, შეუდრკელობისა და ვაჟკაცობის მიუხედავად, რომელსაც ვერავინ ვერ უარვყოფთ, უმრავლესობის $^2/_3$ სადღაც გაჰქრა; სასურველია, ვიცოდე ეხლა, ვინ გაჰბედავს და იტყვის, რომ იმ უმრავლესობის უკანასკნელ მესამედსაც ისეთივე ბედი არ ეწევა, როგორიც ორს მესამედს ეწია? (ტაშის ცემა). მივმართავ ეხლა თქვენს კეთილ-გონიერებას, და გთხოვთ, გემუდარებით, მიაქციეთ ყურადღება ყველა ზემო აღნიშნულ გარემოებას, ისარგებლეთ წარსულით, მომავალის შესახებ უტყუარ აზრის შესადგენად და ირლანდიის საქმეთა შესახებ დაადექით კეთილ-გონიერსა და კეთილ-წარმატების გზასა.

ვეცდები ეხლა განვმარტო ის „ბილლი“, რომელიც მსურს წარუდგინო პალატას.

(დასასრული იქნება)

---

# დეპეშა

17 თებერვალი

**პეტერბურგი.** რიაზანის გუბერნატორი კლადიშევი დანიშნულ იქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრად.

**სოფია.** მთავრობას დეპეშით აცნობეს ტირნოვოს ოლქის დეპუტატებმა, რომ მიტროპოლიტ კლიმენტის მოქმედებამა და იმ სიტყვამ, რომელიც მან პრინც ფერდინანდის დაბადების დღეს წარმოსთქვა, იქამდე აღელვა აქაურნი მცხოვრებნი, რომ მიტროპოლიტი მონასტერში დაამწყვდიეს და ეხლა თხოულობენ მის მაგიერ სხვა დაინიშნოს მიტროპოლიტადაო.

18 თებერვალი

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა მის უდიდებულესობის ცხენოსანთა ალას კამანდერი ვ. ა. შერემეტევი.

**ვენა.** ეპისკოპოსთა კონფერენციამ მიართვა იმპერატორს ადრესი, რომლითაც სთხოვს მხოლოდ კათოლიკეთა სარწმუნოების დაცვას; იმ წერილში-კი, რომელიც მთავრობას უნდა მიართვას, კონფერენცია წინააღმდეგობას უცხადებს ებრაელთა სარწმუნეობის შეწყნარების გამო და ამბობს, რომ თუ ეს სარწმუნოება შეწყნარებულ იქმნა, მაშინ ქრისტიანები ებრაელობას მიიღებენო. ამას გარდა კონფერენცია არ ეთანხმება ყველა სარწმუნოების თავისუფლებას, რადგანაც იგი გაავრცელებდა სხვადა-სხვა მწვალებლობასო.

**ტირნოვო.** წარსულ კვირას, პრინც ფერდინანდის დაბადების დღეს რომ დღესასწაულობდნენ, მიტროპოლიტმა, კლიმენტიმ სთქვა ტაძარში სიტყვა და იწვევდა ხალხს ბოლგარიის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. წირვის შემდეგ ხალხმა გაჰგზავნა კლიმენტთან დეპუტაცია, რომელსაც უნდა გამოეცხადებინა, რომ ხალხი შენს სიტყვას არ ეთანხმებაო. კლიმენტმა უთხრა იმის სახლის წინ შეგროვილს ხალხს, რომ მე გარდავსწყვიტე მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებას ხელი შევუწყოვო. ამის გამო კლიმენტი დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს მონასტერში გაჰგზავნეს. რავდენმამე წევრმა კრებისამ და ტირნოვოს და სხვა ქალაქების ბურგომისტრებმა მოაწერეს ხელი დეპეშას სტამბულოვთან, რომელითაც სთხოვენ მთავრობას კლიმენტი სამუდამოდ გადაყენებულ იქმნასო.

**ვენა.** ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეკოვმა და პარმის ჰერცოგის წარმომადგენელმა მოაწერეს ხელი პრინც ფერდინანდ კობურგელის და მარია—ლუიზას ცოლქმრობის ქაღალდს. ეს პირობის ქაღალდი წარედგინება დასამტკიცებლად დიდ საერო კრებას რომელმაც უნდა კონსტიტუციის ცვლილება შეიწყნაროს.

**ბერლინი.** პარლამენტის წარმომადგენელთა შორის დაბეჯითებით ამბობენ, რომ მთავრობა ახალ კანონის პროექტს წარმოადგენს იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას კანონი სასულიერო ორდენთა განდევნისა გერმანიის იმპერიიდგან.

პეტერბურგის ბირჟა, 9 თებერვ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,54}$ | $7_{,57}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | $151^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | $1_{,08}$ | $1_{,10}$ | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის ვესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $227^3/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $195^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_4$ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით; სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


## განცხადებანი

თესლეულობით ვაჭრობა

ბ. ბ. ლარშესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მიჰყიდე

**ახალი თესლეულობა**

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (1—1)

---

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—19)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამმით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРIЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.

---

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

**„ჯ ე ჯ ი ლ ი“**

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

---



VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უმაღლესზედ უსაუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

იყიდება საუკეთესო გასტრონიმიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

---

ახლად გამართული

**პანსიონი და სასწავლებელი**

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბადღოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ. (50—40)